

Image not found or type unknown

საია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმებს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს

დღეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ანა ხაჭაპურიძის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. გასაჩივრებული ნორმები 1 განსაზღვრავს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

საიას მოსაზრებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების მიხედვით სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების რეალიზებისთვის შექმნას განსაკუთრებული პირობები განათლების სფეროში. გასაჩივრებული ნორმით დადგენილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საგრანტო პროექტების დაფინანსების შეფასების კრიტერიუმები არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრის ინტერესს და უპირატესობას ანიჭებს საბიუჯეტო რესურსების დაბოგვის ინტერესს. საიას პოზიციით, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საგრანტო კონკურსში მონაწილეობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იღებენ და საგრანტო პროექტის შეფასებისას სხვების მსგავსად თანაბარ ქულებს დააგროვებენ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს, არამედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროექტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საია სადავოდ არ ხდის მცირე ბიუჯეტის პროექტის წარდგენის კრიტერიუმით გამარჯვებული სადოქტორო პროექტის გამოვლენის შესაძლებლობას, როდესაც კონკურსში მონაწილეობენ პირები, რომლებსაც არა აქვთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შეზღუდული შესაძლებლობები და რომლებიც მიიღებენ თანაბარ შეფასებას. აღნიშნული სარჩელით საია ასევე არ ითხოვს სადოქტორო პროგრამების დაფინანსებისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის კვოტების დანესებას.

1 „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30

სექტემბერის №128/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესი და პირობები“ დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი.